



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1047  
31/05/2018

ქალაქი ბათუმი

1047-05-4-201805311127



**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ბათუმი, დასახლება კვარიათში მდებარე 200 კვ.მ პლაჟის სექტორის (ს/კ 05.36.26.500) სასყიდლიან სარგებლობაში (იჯარა) გადაცემაზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 12 ივლისის №09 დადგენილებით დამტკიცებული „თვითმმართველი ერთეულის-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი“-ს, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მაისის №37 განკარგულებისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის 28 მაისის №1516-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ბათუმი, დასახლება კვარიათში მდებარე 200 კვ.მ პლაჟის სექტორის (ს/კ 05.36.26.500) სასყიდლიან სარგებლობაში (იჯარა) გადაცემა განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ბათუმი, დასახლება კვარიათში მდებარე 200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გაიყეს ხუთი წლის ვადით, ყოველი წლის 1 ივნისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო მიმდინარე წლის საიჯარო ხელშეკრულების ვადა კი განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

3. თვიური საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 1200 (ათასორასი) ლარის ოდენობით.

4. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/„ზე“განისაზღვროს 360 (სამასსამოცი) ლარის ოდენობით.

5. „ბიჯი“ განისაზღვროს 120 (ასოცი) ლარის ოდენობით.

6. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ბათუმი, დასახლება კვარიათში მდებარე 200 კვ.მ პლაჟის სექტორის (ს/კ 05.36.26.500) ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ საინფორმაციო საშუალებებში განსათავსებელი სააუქციონო განცხადება (თან ერთვის).

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქონების მართვის განყოფილებას.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

